ნონა არევაძე-კოტორაშვილი • ნონა მიქელაძე •
ია რობაქიძე • ნინო ჭანკვეტაძე • გიორგი ჭაუჭიძე

ქართული ენა 1

არაქართულენოვანი სკოლებისთვის

მასწავლებლის წიგნი

სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს.

ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლეგისთვის 1
მასწავლებლის წიგნი

პირველი გამოცემა, თბილისი, 2023

ავტორები: **ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ნონა მიქელაძე,**
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, გიორგი ჭაუჭიძე

რედაქტორი **ელენე ბერიაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლიკა ცქიტიშვილი**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-307-7

Georgian as Foreign Language 1
Teacher’s book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი 4

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 5

სახელმწიფო ენები 7

ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის –
დაწყებითი საფეხურის სტანდარტი 9

მეთოდიკური რეკომენდაციები 16

სახელმძღვანელოს თემატური შინაარსი და მატრიცები 24

სოლოტაქსონომიის რუბრიკები 109

შესავალი

წინამდებარე მასწავლებლის წიგნი ახლავს პირველი კლასის სახელმძღვანელოს პაკეტს ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის.

სახელმძღვანელოს თან ახლავს მოსასმენი მასალაც, რომელთა გამოყენება მასწავლებელს შეუძლია შესაბამისი მიზნებით და დანიშნულებით.

სახელმძღვანელოში მოსწავლის წიგნი და სამუშაო რვეული გადანომრილია იმგვარად, რომ ადვილი იყოს იმის გარკვევა, რა რის შემდეგ უნდა შესრულდეს. მე-6 საანბანო თავიდან კი ნუმერაცია გაკეთებულია არა თავის, არამედ თითოეული ასოს ფარგლებში.

წიგნის ბოლოს არის დამატებითი რესურსი საკითხავი და მოსასმენი მასალის სახით. მასწავლებელს ამ მასალის გამოყენება შეუძლია საჭიროებისამებრ.

სახელმძღვანელოში შეთავაზებულია აქტივობები, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნების გააზრებას უწყობს ხელს. კერძოდ, მეექვსე თავში „ვინ და რა“ სრულდება კომპლექსური დავალება N1, რომელშიც მოსწავლეებმა ილუსტრაციის მიხედვით უნდა შეადგინონ მოკლე ტექსტი: ნაცნობი სიტყვებისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით უნდა ააგონ წინადადებები. ილუსტრაციაზე, წინა პლანზე, გამოსახულია ორი მოსწავლე და მასწავლებელი, რომლებიც სკოლის ეზოში რგავენ ნერგს. ილუსტრაციაზე საუბრისას საჭიროა, მასწავლებელმა მშობლიური ენის მასწავლებლის ჩართულობით ყურადღება გაამახვილოს მდგრადი განვითარების მე-15 მიზანზე, რომელიც დედამიწის ეკოსისტემაზე ზრუნვას ითვალისწინებს.

რვეულის ბოლოს არის სავარჯიშოები ლექსიკისა და ფონოლოგიური უნარების განვითარებისთვის. ასევე ბარათები ლექსიკაზე სამუშაოდ. ლექსიკაზე სამუშაო ბარათების ნიმუშები ასევე მოცემულია მასწავლებლის წიგნის ბოლოს, რათა მასწავლებელმა, საჭიროებისამებრ, შეძლოს მსგავსი ბარათების დამზადება.

პირველი კლასის წინამდებარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია წინასაანბანო და საანბანო პერიოდი. რაც შეეხება ანბანისშემდგომ პერიოდს, ამისთვის საჭირო დრო და რესურსი აღარ დარჩება პირველი წლის განმავლობაში. წინასაანბანო და საანბანო პერიოდების სათანადოდ გავლა სრულად შეავსებს სასწავლო წლის მსვლელობას.

დაწვრილებითი რეკომენდაციები თითოეული პერიოდისა და თემატიკის მიხედვით შემოთავაზებულია ქვემოთ, შესაბამისი თემატური ერთეულების აღწერისას. სულ ასეთი თემა (თავი) ათია და ითვალისწინებს სტანდარტით შემოთავაზებულ თემატიკას:

1. **ჩემი სკოლა** (წინასაანბანო პერიოდი)
2. **ჩემი ოჯახი** (წინასაანბანო პერიოდი)
3. **დაბადების დღე** (წინასაანბანო პერიოდი)
4. **მაუგლი და ტყის ბინადრები** (წინასაანბანო პერიოდი)

5. **აი ია** *(ა, ი, თ, ს, მ, ე, დ, რ)* (საანბანო პერიოდი)
6. **ვინ და რა** *(უ, ო, ბ, ხ, ვ, გ)* (საანბანო პერიოდი)
7. **ჩვენ ირგვლივ** *(კ, ჩ, ნ, ლ, ზ, ქ)* (საანბანო პერიოდი)
8. **ჩემი სახლი, ჩემი ეზო...** *(შ, ტ, ძ, პ, ფ)* (საანბანო პერიოდი)
9. **ჩემი ცა** *(ც, ჯ, წ, ჭ)* (საანბანო პერიოდი)
10. **მარჯვენა და მარცხენა** *(ღ, ჟ, ყ, ჰ)* (საანბანო პერიოდი)

I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ. ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

- მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ. ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

- დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების 2 განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ. დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე. **იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:**

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ. **საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:**

- სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ. **კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:**

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ. **იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:**

- დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

II თავი – სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- **ქართული ენა და ლიტერატურა;**
- **ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის;**
- **აფხაზური ენა და ლიტერატურა.**

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში.

სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- საზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;

- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;
- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

III თავი – ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – დაწყებითი საფეხურის სტანდარტი

4. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) დაწყებით საფეხურზე

4.1. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) – სავალდებულო კურსის სტანდარტი

შესავალი

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მთავარ საფუძველს შეადგენს თითოეული მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ ქართული ენის სწავლის პროცესი და თვით ქართული ენა და კულტურა. ამ საგნის სწავლება დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა: მულტილინგვური კომპეტენცია, პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, სამოქალაქო კომპეტენცია, კულტურული მიკუთვნებულობა და თვითგამოხატვა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემატური ჩარჩოს, საგნობრივი ქვეცნებებისა და საკითხების სახით. ამ შინაარსზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები.

თემატური ჩარჩო სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ ქართული ენის გაგება-გამოყენება.

სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია თემატური ჩარჩო და ქვეცნებები, რომელთა საფუძველზეც სკოლები თავად განსაზღვრავენ კონკრეტულ თემებსა და საკითხებს.

შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები შერჩეული თემების კონტექსტში დაკონკრეტდება.

I-IV კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ქ.ე.დაწყ.(I).1.

„ქ.ე.“ – მიუთითებს საგანს „ქართული ენა“;
„დაწყ.(I).“ – მიუთითებს I-IV კლასების სტანდარტს;
„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქ.ე.დაწყ.(I). 1.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა ძირითადი შინაარსის გასაგებად;	სამეტყველო ქმედება (შედეგები: 1, 2, 3) ტექსტი (შედეგები: 1, 2, 3) ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგი 5) სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა (დეკოდირება და კოდირება) (შედეგი 2, 4)
ქ.ე.დაწყ.(I).2.	მოდელის მიხედვით ან გარკვეული საყრდენების დახმარებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა მარტივი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	
ქ.ე.დაწყ.(I).3.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ილუსტრაციების აღწერა და მარტივ დიალოგში მონაწილეობა ნასწავლ თემებზე სასაუბროდ;	
ქ.ე.დაწყ.(I).4.	სათანადო სტრატეგიების გამოყენებით გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	
ქ.ე.დაწყ.(I).5.	ნასწავლი ლექსიკის, საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი ენობრივი გამოთქმების, კონკრეტული სიტყვათშეხამებებისა და გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	
ქ.ე.დაწყ.(I).6.	ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული კულტურული, სიმბოლური, საყოფაცხოვრებო რეალიების გაგება-გააზრება კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესისა და პოზიტიური დამოკიდებულების გამოსავლენად;	

სავალდებულო თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის სავალდებულო შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. მე და სამყარო:

- **საკუთარი თავის შესახებ** (მაგ., პირადი მონაცემები, დაბადების დღე, საქმიანობა, ინტერესები);
- **სახლი და უახლოესი გარემო** (მაგ., ოჯახი/ნათესავები; ქალაქი/სოფელი; საცხოვრებელი ადგილი, სახლის ინტერიერი, ავეჯი / საყოფაცხოვრებო ნივთები);
- **ყოველდღიური ცხოვრება** (მაგ., სკოლა, სასწავლო საგნები, სასკოლო ნივთები და აქტივობები; დღის განრიგი);
- **თავისუფალი დრო, გართობა** (მაგ., თამაში / სათამაშოები, სპორტი, სეირნობა,); არდადეგები;
- **ცხოველთა სამყარო;**
- **ტრანსპორტი;**
- **ჯანმრთელობა** (მაგ., სხეულის ნაწილები; ავადმყოფობა, წამალი, ექიმი);
- **საჭმელ-სასმელი** (მაგ., ხილი, ბოსტნეული, სურსათი; ჭურჭელი);
- **საყიდლები** (მაგ., ტანსაცმელი/ფეხსაცმელი; მაღაზიები);
- **ამინდი** (მაგ., წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; ბუნების მოვლენები).

II. სოციოკულტურა და კულტურა:

- **ტრადიციული საბავშვო თამაშები, პერსონაჟები;**
- **დღესასწაულები** და ტრადიციები (მაგ., ახალი წელი; კერძები; სამოსი);
- **ყოფითი რეალიები** (მაგ., ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები);

მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოდან.

ცნებები	ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები
სამეტყველო ქმედება (შედეგები: 1, 2, 3)	**ფუნქციური სამეტყველო აქტები** • **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (მაგ., მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა, თანხმობა/უარი, ტელეფონით საუბარი); • **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (მაგ., პირადი მონაცემების გაცვლა (ვინაობა, ასაკი, ეროვნება, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი); ადამიანის / ცხოველის / საგნის აღწერა/დახასიათება (გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა...); თარიღის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება; საკუთარი ან სხვისი ყოველდღიური საქმიანობა); • **ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ** (მაგ., მოწონება/არ მოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...); • **ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ** (მაგ., მარტივი ემოციებისა და შეგრძნებების გამოხატვა (სიხარული, ტკივილი, სიცივე, სიცხე...); • **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (მაგ., დროის მითითება (საათის / დღის / კვირის / თვის / წლის), მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის განსაზღვრა (ჯერ / შემდეგ), ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება). • **ლოგიკური კავშირების გამოხატვა** (მაგ., მიზეზი, შედეგი)

ტექსტი (შედეგები: 1, 2, 3)	**მეტყველების ფუნქციური ტიპი (თხრობა, აღწერა)** **ტექსტის ტიპი - მხატვრული, არამხატვრული** **ტექსტის ჟანრი:** • **მხატვრული ლიტერატურა** (მაგ., პროზაული და პოეტური ნაწარმოებები – ენის გასატეხები, გამოცანები, საბავშვო ლექსები, ადაპტირებული მოთხრობები და ზღაპრები); • **არამხატვრული ლიტერატურა** (მაგ., ა) პრაგმატული ტექსტები – გაკვეთილების ცხრილი, განრიგი, ტელეპროგრამა, რეცეპტი, განცხადება, ანკეტა; ბ) მარტივი კორესპონდენცია – ღია ბარათი, პირადი წერილი, ინტერვიუ; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები, ადაპტირებული სტატიები საბავშვო წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან); • **მედია/მულტიმედია ტექსტები** (მაგ., ქართული ანიმაციური ფილმები და საბავშვო სპექტაკლები, საბავშვო სიმღერები, აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე); • **სასწავლო მიზნებით შედგენილი** (დიდაქტიზებული) ტექსტები – თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, ადაპტირებული კომიქსები. **ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება** • **ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა); • **ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/ არავერბალური ელემენტები** (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი); სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის მონაწილეები);

ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგი 5)	**გრამატიკა:** • **ფონეტიკა და ორთოეპია:** ბგერა/ასო; ხმოვანი და თანხმოვანი; ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხმოვნები; მარცვალი; • **მორფოლოგია:** სახელის რიცხვი; კონკრეტულ ბრუნვათა ფორმა და ფუნქციები; ზედსართავი რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები; სახელი; პირის, კითხვითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; სახელთა წარმოქმნის ცალკეული შემთხვევები; პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში; ნასწავლი ზმნების სხვადასხვა დროის ფორმები (აწმყო, უწყვეტელი/წყვეტილი, მყოფადი); თანდებულები და ზმნიზედები კონკრეტული ფუნქციით (დრო, ადგილი, მოქმედების ინტენსივობა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობა); • **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი და კითხვითი წინადადებები; მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები; • **პუნქტუაცია:** წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ტირე. **ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; თემატური ლექსიკა.**
დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა) (შედეგი 2, 4)	**გაშიფვრა:** ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;

სასწავლო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

სამეტყველო ქმედება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;
- ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის შინაარსის ამოცნობა და შინაარსობრივად მსგავსი ტექსტების შექმნა.

ლექსიკა და გრამატიკა - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სათანადო ლექსიკისა და გრამატიკის ფუნქციური გამოყენება.
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.

დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა) - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წინადადებებისა და მარტივი მიკროტექსტების ნაწერიდან ან ნაბეჭდი წყაროდან გადაწერა; კარნახით ან კონკრეტული მითითებების მიხედვით წერა;
- ნაცნობი მიკროტექსტების თავისუფლად შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყოფით წაკითხვა.

IV თავი – მეთოდიკური რეკომენდაციები

ზეპირმეტყველების (მოსმენისა და ლაპარაკის) უნარების გან ვითარება პირველ კლასში
(გამოყენებულია ონლაინჟურნალის mastsavlebeli.ge მასალები)

ლაპარაკის (საუბრის) უნარი ერთ-ერთი განუყოფელი კომპეტენციაა უცხოურ ენაზე კომუნიკაციის დაწყებისას. თუკი მშობლიურ ენაზე ეს უნარი ბუნებრივად, სრულიად კომფორტულად და გაუცნობიერებლად ყალიბდება, უცხოურ ენაზე საუბრის დაწყება გარკვეულ ბარიერებთან არის ხოლმე დაკავშირებული, თუ რა თქმა უნდა, ადამიანს ღრმა ბავშვობიდან არ უწევს არამშობლიურ ენასთან შეხება და თუკი ბუნებრივი გზითვე ითვისებს არამშობლიურ ენას.

რეალური სიტუაციებში მოსმენა-ლაპარაკი მრავალჯერადი განმეორებით

დიდი როლი ენიჭება ენის სწავლებისას ავთენტიკურ კონტექსტებს და აქ გახმოვანებულ ფრაზებსა და სიტყვებს. არცთუ იშვიათად ასეთი კონტექსტები უფრო ადვილად ამახსოვრებინებს მოწაფეს საჭირო ფრაზასა თუ ენობრივ კონსტრუქციას... ასეთი მიდგომით ბავშვებს შეგვიძლია დავამახსოვრებინოთ და ავათვისებინოთ საოცრად რთული ფორმისა და გრამატიკული სტრუქტურის სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ათვისებაც, ენის ლოგიკური განვითარების მიხედვით, საკმაოდ გვიან მოუწევდა. მაგალითად: **„შეიძლება?“ „გასაგებია“**... ასეთი გამოთქმებისა და ფრაზების ასათვისებლად საკმაოდ ეფექტოვანია (ამ სიტყვაში ვაერთიანებთ ეფექტურობისა და ეფექტიანობის შინაარსს.) მასწავლებლისეული ყალიბ-გამოთქმები.

მაგალითად:

- გადაშალეთ წიგნები და რვეულები.
- ყურადღებით გადაიწერეთ დაფიდან.
- გამოდი დაფასთან...

ძალიან სასარგებლოა თითოფრაზიანი უკუკავშირის მიცემაც, როდესაც ბავშვები მუშაობენ. მაგალითად, *ალინა ჯერ კიდევ ხატავს... რაუფი ხატავს, ნესტანი ხატავს, ნიკუშა ხატავს, აილინი ხატავს, გარი ხატავს... ალიმ უკვე დახატა...* აქ იმ ფორმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აქტუალურია ჩვენთვის.

რასაკვირველია, ასეთი ფრაზები და გამოთქმები, თუკი იგი დაგეგმილიცაა მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნების კვალად და შესაბამისად, უფრო და უფრო გართულდება მეორე და მესამე კლასებში. პირველ კლასში კი მხოლოდ მარტივი ფრაზებით უნდა შემოვიფარგლოთ. რასაკვირველია, ამ ფრაზებსაც დასჭირდება მრავალჯერადი განმეორება. თუნდაც მხოლოდ მოსმენით ხდებოდეს მოსწავლეთა მხრიდან მისი აღქმა და არ მონაწილეობდნენ რეპროდუცირებაში. ამის დროც თანდათანობით მოვა...

დუმილის პერიოდი

სანამ მოსწავლე სამიზნე ენაზე ლაპარაკს დაიწყებს, მან საკმაოდ საჭირო და სასარგებლო პერიოდი უნდა გაიაროს, რომელიც დუმილის პერიოდის სახელითაა ცნობილი. ანუ ამ დროს მოსწავლე დუმს. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჩართული არაა სასწავლო პროცესში. იგი საკმაო ინტენსივობით ისრუტავს ახალ-ახალ ცოდნას, თუმცკი პასიური ამთვისებლის როლში. და თანდათან ემზადება აქტიური შემსწავლელის როლის მოსარგებად, ანუ ასალაპარაკებლად.

ლაპარაკის უნარის განვითარებისთვის ეფექტური მეთოდებია ბუნებრივი მიდგომა — სრული ფიზიკური რეაქცია, ერთსიტყვიანი პასუხები, ორსიტყვიანი პასუხები.

ყურადღება მივაქციოთ ამ საფეხურებს და დავაკვირდეთ, რა უნდა ხდებოდეს მათ შესაბამის აქტივობებზე:

საფეხური	სასწავლო ქმედებები
სრული ფიზიკური რეაქცია	მასწავლებელი სვამს უმარტივეს შეკითხვებს და მოსწავლეები მხოლოდ ფიზიკური მოძრაობებით (თავის დაქნევა-გაქნევა, ხელი აწევა, ფეხზე ადგომა...) რეაგირებენ. მაგალითად, • რვეული? ფანქარი? ეს წიგნია? ეს დაფაა? ეს მაგიდაა? (ბავშვები დააქნევენ თავებს თანხმობის ნიშნად, ან გააქნევენ თავებს უარყოფის ნიშნად.) • თუ ეს წიგნია, ასწიეთ ხელი! თუ ეს რვეულია, ადექით ფეხზე! (ბავშვები მოქმედებენ შესაბამისად – ასწევენ ან არ ასწევენ ხელს, ადგებიან ან არ ადგებიან ფეხზე.
ერთსიტყვიანი პასუხები	ამ საფეხურზე მოსწავლეები უკვე თითოსიტყვიან პასუხებს სცემენ მასწავლებლის შეკითხვებს: • დიახ/კი, არა... • წიგნი, რვეული, მიდის, წერს...
ორსიტყვიანი პასუხები	ამ დროს უკვე მოსწავლეს შეუძლია ორ და მეტსიტყვიანი პასუხების გაცემა.

ეს მიდგომა შინაარსიანად მუშაობს რეალური ნივთებისა (კალამი, ვაშლი, ქუდი, წიგნი, ბლოკნოტი...) და პოსტერების გამოყენებით.

რეალური ნივთები

აქტივობები სხვადასხვა ფერის რეალური ნივთების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს საკლასო ოთახში არსებული ნივთები (წიგნი, რვეული, დაფა, მაგიდა, კომპიუტერი, ფანქარი...), მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნით შეგროვებული ნივთები (თოჯინები, ვაშლები, ქუდები, სხვადასხვაფერის ბუშტები, სხვადასხვა ფერის მარკერები...)

პოსტერები

შესანიშნავი რესურსია თემატური პოსტერები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ არის დაბეჭდილი და დარიგებული ჩვენს არაქართულენოვან სკოლებში.

თემატური პოსტერი არის კონკრეტული თემატიკის ამსახველი სიუჟეტიანი დიდი ფერადი პლაკატი, რომლის გაკვრაც შესაძლებელია საკლასო ოთახის დაფაზე ისე, რომ აღქმადი იყოს ოთახის ყველა კუთხიდან. მათი ამობეჭდვა სხვადასხვა სახის მასალაზე დამოუკიდებლადაც შეგვიძლია სხვადასხვა ფირმაში, თუკი ჩვენ მივაწოდებთ სათანადო ნახატებს. ნახატები კი გაზიარებულია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ დატოვებულ პორტალზე: kargiskola.ge. ამ ნახატების ჩვენება შესაძლებელი პროექტორითაც, თუმცაღა დიდ ფორმატზე ამობეჭდილი სახით უფრო მოსახერხებელი და ეფექტურია.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯიპრაიდის ფარგლებში შექმნილი ერთ-ერთი პოსტერი,

რატომ უშლის ხელს წერისა და კითხვის შემოტანა ლაპარაკის უნარის განვითარებას?

როგორ დავაკავშიროთ ორგანულად კითხვა და წერა ლაპარაკთან? აქ უნდა გავითვალისწინოთ უნართა ინტეგრირებულად სწავლების თავისებურება და ის, რომ ლაპარაკი, ისვე როგორც წერა, პროდუცირებადი უნარია. ანუ კითხვისა და მოსმენისგან განსხვავებით, შემსწავლელი მიმღები კი არ არის, არამედ მწარმოებელი, წარმომთქმელი და დამწერი, თვითონ ქმნის ენობრივ პროდუქტს (დაწერილ თუ წარმოთქმულ ტექსტს). მასწავლებლის მოვალეობაა, მკაფიოდ გამიჯნოს ლაპარაკის უნარის განმავითარებელი აქტივობები კითხვისა და მოსმენის, როგორც საყრდენი უნარებისგან.

რა იგულისხმება გამიჯვნაში? ანდა რამდენად შესაძლებელია ამის მოხერხება საგაკვეთილო პროცესში? რასაკვირველია, ენობრივი უნარები ურთიერთდაკავშირებულია და ასეთივედ უნდა დარჩეს სწავლების პროცესშიც – ერთი უნარი, მეორის განვითარების საყრდენად უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ გამიჯვნაში ვგულისხმობთ იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ, რომ ლაპარაკის უნარზე კონცენტრირების მომენტებში ვერ გამოიყენებენ, თუნდაც მათ მიერვე ანდა ერთობლივად წინასწარ დაწერილ ტექსტს. ამ კონკრეტულ, „სალაპარაკო მომენტებში“ უმჯობესია მოსწავლემ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შეყოვნებით, შეცდომებით ილაპარაკოს, ვიდრე დამხმარე რესურსად დაწერილი ტექსტები, მინიშნებები, ლექსიკონები, ჩანაწერები, სქემები გამოიყენოს და უშეცდომოდ ილაპარაკოს.

შინაგანი საუბარი

მოსწავლეების ე.წ. შინაგან საუბარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენის ათვისების პროცესში. თუ დაჰკვირვებიხართ სამი-ოთხი წლის ბავშვს, რომელიც თავის თავს ელაპარაკება? ამ აქტით ბავშვი უდიდეს ნახტომს აკეთებს თავის განვითარებაში.

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლები სიამოვნებას უნდა უბრუნებდნენ თავიანთ მოსწავლეებს.

უნდა ჩააგონონ, რომ საკუთარ თავთან განმარტოებისას ისაუბრონ, ესაუბრონ საკუთარ თავს (ზოგჯერ სარკის წინაც) სამიზნე ენაზე... ამისთვის, რასაკვირველია, მასწავლებლის მხრიდან საჭირო იქნება მოსწავლე აღჭურვოს დაძლევადი ენობრივი მასალით.

ეს საუბარი შესაძლებელია წარიმართოს ელემენტარული საკომუნიკაციო სიტუაციებიდან (რა გქვია? რა გვარი ხარ?..) გართულებულ და მაღალი კომპეტენციების ჩათვლით (რა გესიამოვნებოდა?..). რასაკვირველია, პირველკლასელი მოსწავლეებისთვის ასეთი სალაპარაკო მასალა უმარტივესი ლექსიკითა და ენობრივი კონსტრუქციებით იქნება შემოსაზღვრული.

როგორ აღვჭურვოთ ბავშვები დაძლევადი ენობრივი მასალით?

რასაკვირველია, ამას სჭირდება დაგეგმილი სწავლება. ამ მიზნით ქვემოთ გთავაზობთ ლაპარაკის სწავლების შვიდსაფეხურიან მოდელს.

1. ვაჩვენოთ სიტუაცია
2. აღვწეროთ სიტუაცია
3. კიდევ ერთხელ, უკვე მოსწავლეთა მონაწილეობით აღვწეროთ სიტუაცია
4. გავითამაშოთ დიალოგი სიტუაციაში, როგორც მულტიფუნქციურმა მსახიობმა
5. კიდევ ერთხელ გავითამაშოთ დიალოგები ამჯერად უკვე მოსწავლეთა ჩართულობით
6. მოსწავლეებს დამოუკიდებლად გავათამაშებინოთ დამუშავებული სიტუაციური დიალოგები
7. შევთავაზოთ მოსწავლეებს განსხვავებული სიტუაციური დიალოგების გათამაშება

როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ განსხვავებული სიტუაცია? ამისთვის სამი გზა არსებობს:

I. დავტოვოთ იგივე კონტექსტი და შევცვალოთ მონაცემები (იმავე რანგის ან უფრო რთული მონაცემებით);

II. დავტოვოთ იგივე მონაცემები და შევცვალოთ კონტექსტი;

III. შევცვალოთ კონტექსტიც და მონაცემებიც.

მაგალითად, თუკი ჩვენი მიზანია გაყიდვის სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარება და პირველ ვარიანტად დავამუშავეთ/გავითამაშეთ სიტუაცია სურსათის მაღაზიაში, სადაც მალვინა ყიდულობს შოკოლადსა და წვენს, განსხვავებული სიტუაციები იქნება შემდეგი:

ა. მალვინა მაღაზიაში ყიდულობს პურსა და ნაყინს;

ბ. მალვინა შოკოლადსა და წვენს ყიდულობს კინოში;

გ. მალვინა ნაყინსა და პოპკორნს ყიდულობს კინოში.

მოქმედება სიმულაციის ნაცვლად

აქვე უნდა გავიხსენოთ ჩანაწერი, რომელიც შემოთავაზებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: „მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.“

ამ კონტექსტში დიდი დატვირთვა ენიჭება კომპლექსური დავალებების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. თუ განვიხილავთ ერთ-ერთი ტიპური კომპლექსური დავალების პირობას, ადვილად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ნამუშევრის (მიუხედავად იმისა, თუ რა უნარების

კომპლექსურად ჩართულობას მოითხოვს იგი) პრეზენტაცია გულისხმობს მოსწავლეების ლაპარაკის კომპეტენციის განვითარებას.

ჩვენს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისგან მოითხოვს იმის აღწერას, თუ რა და როგორ გაკეთა მან. პირველივე კლასში ამის დაძლევა შესაძლებელია ისეთი მინიმალისტური ფრაზებით, როგორიცაა:

- მე დავხატე ბუშტი... მე დავხატე ორი წიგნი... მე დავხატე წითელი მანქანა...
- მე დავწერე მისალოცი ბარათი...

რასაკვირველია, ასეთი საუბრების დროს გარკვეულწილად შეზღუდულები ვართ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები, მაგრამ თითოეულ სიტყვას, ფრაზას წინადადებას განუზომლად მეტი ფასი აქვს, ვიდრე მშობლიურ ენაზე ექნებოდა. მთავარია მოსწავლე მთელი ქმედებით იყოს ჩართული როგორც ნამუშევრის შექმნაში, ასევე მის ქართულ ენაზევე წარდგენაში.

ბოლოს უნდა შევეხოთ მოსწავლეებისთვის მათი მშობლიური ენების გამოყენების საკითხს საგაკვეთილო პროცესში. ეს საკითხი არ შეეხება მხოლოდ ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებას, რადგან საკმაოდ პრობლემატურია ნებისმიერი უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული...) სწავლების ტრადიცია.

ამ მიმართულებით საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა კი დავძენთ, რომ თუკი რაიმეს გასაგებინებლად მოსწავლის მშობლიური ენის გამოყენება გვჭირდება, ესე იგი იმის სწავლება ჯერ ნაადრევია და ენის რეალიზებაში მაინც არ ექნება სათანადო ეფექტი. უმთავრესი ალაპარაკებული ბავშვია, მშობლიურ ენაზე გრამატიკული ნიუანსების ახსნის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართულის მასწავლებელმა შეიძლება დაიხმაროს მოსწავლეთა მშობლიური ენის მასწავლებელი, რათა გააგებინოს ამა თუ იმ კომპლექსური დავალების ნიუანსი.

ლექსიკური მარაგის გამდიდრება

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩაწერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიტყვების სწავლებას პირველ კლასში. სინამდვილეში, ენის სწავლება საწყის ეტაპზე სწორედაც რომ სიტყვების სწავლებაა. ამ სიტყვების სწავლებაში უნდა იყოს ჩაშენებული პირველკლასელებში ფონოლოგიური (სიტყვებში ბგერების იდენტიფიცირება) და ფონეტიკური (ბგერების სწორად, ზუსტად აღმა) კომპეტენციების ჩამოყალიბება.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას პირველ რიგში?

ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის ტექსტები და კონტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილი უნდა იყოს ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება სამიზნე კლასების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყველაფერს ხომ სახელმძღვანელოს ავტორი ვერ ჩაწერს ვერც მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში და ვერც მასწავლებლის წიგნში. განსაკუთრებით პირველ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო ქმედებები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში ან ილუსტრაციაზე გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა/საგანი შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ მან დამატებით ამ სიტყვაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება.

როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ? მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ? პირველ რიგში განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთი სიტყვებს საკვანძო სიტყვებსაც უწოდებენ ხოლმე. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გააზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს შეფასებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით ხშირად გამოყენებული სიტყვები, ნაკლები სიხშირით გამოყენებული სიტყვები და იშვიათად ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის სიტყვებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია ე. წ. ხშირ სიტყვებს. თავისთავად ცხადია, რომ „პური“, „მაგიდა“, „სკოლა“ და სხვები ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მოსწავლეებისთვის აუცილებელი და პრიორიტეტულია. ხოლო ისეთი სიტყვები, როგორიცაა „სარჩული“, „ზომიერი“, „მიტოვებული“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია. ხოლო სიტყვები „ბობოლა“, „წარმტაცი“, „ოინი“ იშვიათად ხმარებული სიტყვებია. შესაბამისად, ვფიქრობთ, ყველა პედაგოგი დაგვეთანხმება, რომ პირველ კლასში ძალისხმევა უნდა მივმართოთ მხოლოდ ხშირი სიტყვების ათვისებაზე.

პირველკლასელებთან უნდა გამოვიყენოთ ლექსიკაზე მუშაობის გავრცელებული სტრატეგიები: ილუსტრაციაზე სიტყვების დაკავშირება, ილუსტრაციაზე სპეციალურად ცარიელ ადგილებზე სიტყვების ჩასმა-ჩაწერა, ასოთლაბირინთებში სიტყვათა იდენტიფიცირება,

წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვების ჩასმა, ორი სიტყვიდან სასურველის არჩევა და მისი ჩასმა სათანადო ადგილზე, ტექსტში გამოტოვებული სიტყვების აღდგენა, უცნობის სიტყვების მნიშვნელობების წინასწარმეტყველება და შემდეგ კონტექსტის მიხედვით ამოცნობა, სინონიმებისა თუ ანტონიმების დაკავშირება, სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული აქტივობები, კონკრეტული სიტყვის/ცნების ილუსტრირება, სიტყვის შესაბამისი ზუსტი და არაზუსტი მაგალითების (ე.წ. კი და არა მაგალითები) მოფიქრება და სხვა მრავალი. ასეთ აქტივობებს მრავლად შევხვდებით ჩვენს სახელმძღვანელოში სათანადო ადგილზე, თუმცა მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში თავადაც უნდა იყვნენ გაწაფულები საჭირო დამატებითი სავარჯიშოების მოფიქრებასა და მოსწავლეებისთვის შეთავაზებაში.

სწორედ ნაცნობ ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით უნდა ვავარჯიშოთ მოსწავლეები სიტყვისა და ილუსტრაციების ბარათების გამოყენებით.

სიტყვის და ილუსტრაციების ბარათებზე მუშაობა

პირველ კლასში ერთ-ერთი საჭირო და შედეგიანი მეთოდია სიტყვის და ილუსტრაციების ბარათებით მუშაობა. ეს რესურსი შემდეგ ნაირად გამოიყურება:

მასწავლებელს აქვს მცირე ზომის ილუსტრირებული ბარათები იმ სიტყვების აღმნიშვნელი საგნების გამოსახულებით, რაც მოსწავლეთათვის ასათვისებლად არის საჭირო და ასევე აქვს ამ საგნების აღმნიშვნელი სიტყვების ბარათებიც.

მაგალითად:

პეპელა

რობოტი

ილუსტრაციების ბარათებით მოსწავლეები სწავლობენ ახალ ლექსიკას, ხოლო სიტყვის ბარათების საშუალებით სწავლობენ, როგორ იწერება სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ილუსტრაციაზე გამოსახულ საგანს. ეს მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს ბავშვები ამუშაოს მაშინაც კი, როდესაც მათ ანბანის ყველა ის ასო-ბგერა არ აქვთ შესწავლილი, რომელიც გამოყენებულია სიტყვის ბარათებში. ასეთი სწავლება-თამაშით ბავშვები სწავლობენ ახალ სიტყვებს და ასევე, მექანიკურად იმახსოვრებენ ბარათზე დაწერილ სიტყვას, როგორც სურათს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

დასაწყისიდანვე, როდესაც იწყებთ ილუსტრაციების ბარათებით ლექსიკაზე მუშაობას, გამოიყენეთ სიტყვის ბარათებიც.

- გააკარით დაფაზე ილუსტრაციები და მიამაგრეთ ქვეშ სიტყვის ბარათები. როდესაც ბავშვს დაასახელებინებთ ილუსტრაციაზე გამოსახულ საგანს, იქვე ხელით მიუთითეთ სიტყვის ბარათზე და „წააკითხეთ“ სიტყვაც.
- როდესაც მოსწავლეები გაიწაფებიან სიტყვების დასახელებაში, განაცალკევეთ ილუსტრაციები და სიტყვები და ბავშვებს საშუალება მიეცით თავად დააწყვილონ სიტყვები და ილუსტრაციები.
- შეცდომით დააკავშირეთ სიტყვები და ილუსტრაციები და ბავშვებს სთხოვეთ გაასწორონ შეცდომები.
- ილუსტრაციებს მიაწერეთ სიტყვები იმ ასო-ბგერების გამოტოვებით, რომლებიც უკვე შესწავლილი აქვთ მოსწავლეებს და მიეცით მათ საშუალება თავად ჩაწერონ საჭირო ასოები.
- დაურიგეთ ბავშვებს სიტყვის ბარათები და სთხოვეთ დახატონ სიტყვის შესაბამისი სურათი. ან შეთავაზებული ორი ილუსტრაციიდან გააფერადოს ის, რომელიც შეესაბამება სიტყვის ბარათს.

ამგვარად, ეს რესურსი მოგცემთ რამდენიმე მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობას: სიტყვების ათვისება, ანბანის შესწავლა-განმტკიცება, სიტყვების წაკითხვის სწავლა. წერა.

რეკომენდაციები მოსასმენ ტექსტებზე მუშაობისთვის

მოსასმენ ტექსტებზე მუშაობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ენის შემსწავლელი პირველკლასელისთვის. სწორედ ამ კომპონენტზეა დაფუძნებული, რამდენად წარმატებულად მოახერხებენ მოსწავლეები ქართული ენისთვის დამახასიათებელი ბგერათა სისტემის, განსაკუთრებით, სპეციფიკური (მოსწავლეთა მშობლიური ენებისთვის უცხო) ბგერების სწორად აღქმას (სწორედაც რომ, ბგერების სწორად აღქმაზეა დამოკიდებული შემდგომში მათი სწორადვე წარმოთქმა.) და წარმოთქმა-ლაპარაკისთვის მყარი საფუძვლის მომზადებას.

რასაკვირველია, მოსმენის უნარის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის გადამწყვეტია მასწავლებლის როლი. სწორედ მისგან ისმენს მოსწავლე სხვადასხვა ფუნქციის ტექსტებს (მითითებები, საკლასო ინსტრუქციები, სახელმძღვანელოს ტექსტების წაკითხვა და სხვ.). თუმცა სახელმძღვანელო ითვალისწინებს მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერებსაც, რომლებსაც მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს სათანადო საგაკვეთილო აქტივობების მითითებულ დროს.

ტექსტების მოსმენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა (მათ შორის, განსხვავებულ მოსწავლეთა) საჭიროებები. შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდეს მოსასმენი ტექსტები განმეორებით, მესამედ მოსმენაც კი. აგრეთვე მოსასმენი ტექსტის დაპაუზებასაც უნდა მიმართოს ხოლმე. ზოგადად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პირველკლასელებს პირველად უწევთ ასეთ პირობებში დავალებების შესრულება და რაც შეიძლება კომფორტულად უნდა აგრძნობინოს თავი...

V თავი – სახელმძღვანელოს თემატური შინაარსი და მატრიცები

1-ელი თავი - სკოლა

(წინასაანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: სკოლა **საათების სავარაუდო რაოდენობა:** დამოკიდებული იქნება საკლასო ოთახში მოსწავლეთა საჭიროებებსა და მზაობაზე. **ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული მოსასმენი ფაილები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** ილუსტრაციის შექმნა და აღწერა
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - *რა არის, რა ჰქვია?* აღწერა / დახასიათება - *სასკოლო ნივთები*
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები **ქვესაკითხები:** აღწერა; კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - სკოლა ადრესატი - *მასწავლებელი*
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა - სკოლასთან, საკლასო ოთახთან დაკავშირებული საგნები; მარტივი ფერები; გრამატიკა - ზმნები: არის, ნაცვალსახელები: ეს / ის ენობრივი კონსტრუქციები (რა არის ეს/ის? - ის / ეს არის ...
კოდირება და დეკოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)	ნაცნობი სიტყვის ხატის ცნობა და გაშიფვრა
	კომპლექსური დავალება 1 ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

სამეტყველო ქმედება - <u>ფუნქციური სამეტყველო აქტები:</u> ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - რა არის, რა ჰქვია? სასკოლო ნივთების აღწერა / დახასიათება

ლექსიკა და გრამატიკა - <u>ლექსიკა:</u> სკოლა, დაფა, მასწავლებელი, წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი, ჩანთა, ზარი, ბუშტი, მერხი, კომპიუტერი.

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები- ფერები:წითელი, ყვითელი, მწვანე, თეთრი, ლურჯი, შავი

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? ეს ვინ არის? რა ჰქვია მას? - ეს/ის არის ბიჭი // ეს/ის გოგოა... როგორია ბუშტი? - ... არის წითელი

ტექსტი - მეტყველების ტიპი - აღწერა; სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - სასკოლო ნივთები*;* ადრესატი - *მასწავლებელი*

საკითხი: ნახატის აღწერა

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება ნახატის შესაქმნელად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

მოუსმინე მასწავლებელს და დახატე. შემდეგ აღწერე, რა არის, რამდენია და რა ფერისაა:

ორი წითელი ფანქარი

სამი ყვითელი ბუშტი

ერთი მწვანე დაფა

ოთხი ლურჯი რვეული

<u>დავალების შესრულებისას წარმოაჩინე:</u>

- კონკრეტული ინფორმაცია ნახატის გარშემო - აღწერეთ, *რა არის ნახატზე გამოსახული და რა ფერისაა?* **(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა, ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმის უნარი **(ლექსიკა და გრამატიკა);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- **რა ნივთები გვაქვს საკლასო ოთახში?**
- **რა ფერისაა ეს ნივთები?**

დავალების მოთხოვნების გააზრება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო ნახატის დასრულების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ნახატის წარდგენისას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა: სკოლა, დაფა, მასწავლებელი, მოსწავლე, წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი, ჩანთა, ზარი, ბუშტი, მერხი, კომპიუტერი.

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები - წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, თეთრი, შავი.

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? - ეს არის ჩანთა. ჩანთა ლურჯია.....

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული

დამატებითი რესურსი: პოსტერი, საკლასო ოთახის გარემო

აქტივობები:

1. **ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**
   პირველი თემატური ერთეული არის სკოლა. თემის პირველი აქტივობა თემის ცენტრალური ნახატის მასწავლებლის დახმარებით აღწერაა. ამ პოსტერის/ნახატის საშუალებით უნდა მოხდეს:

- მოსწავლეების მიერ ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისება (სკოლა, მასწავლებელი, წიგნი, რვეული, დაფა, ჩანთა, წიგნი, რვეული, ფანქარი, კალამი, მერხი, კომპიუტერი)
- ცალკე გამოტანილ ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებაზე მუშაობა - მოსმენა და გამეორება
- სიტყვის ბარათებით მუშაობა

ამ მიზნების მისაღწევად სრულდება წიგნის დავალებები 1-4; თითოეული ლექსიკური ერთეულის ათვისებისას და ზოგადად სწავლების ამ, წინასაანბანო ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარზე მუშაობა, რასაც წიგნში სიტყვების დამარცვლის დავალებები ემსახურება, თუმცა ამით არ ამოიწურება ფონოლოგიაზე მუშაობა და მასწავლებელმა მოსწავლეები სიტყვების ასო-ბგერებად დაშლა-აწყობაზეც უნდა ავარჯიშოს. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს სიტყვას, მოსწავლეები შლიან ბგერებად, შემდეგ კი პირიქით, მასწავლებელი სთავაზობს ბგერებს და მოსწავლეები აერთიანებენ. შესაძლებელია სხვა ტიპის ფონოლოგიური სავარჯიშოებიც. ფონოლოგიაში ვარჯიში უმნიშვნელოვანესია და ძალიან ეხმარება კითხვის შესწავლას.

აქტივობა 2 – „ეს არის...“ კონსტრუქციაზე ვარჯიში:

- მარტივი ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსწავლეებთან თემის ლექსიკური ერთეულების მიხედვით, მაგალითად, რა არის ეს ? ეს არის ფანქარი....
- დახატე მითითების მიხედვით და დაასახელე, რა არის ეს. გაიმეორე ფრაზა სრულად (მაგ., ეს არის ჩანთა, ეს არის ბუშტი...)

ამ აქტივობის შესასრულებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ყველაფერი სასკოლო გარემოდან. პირველ რიგში კი, ისევ ის დავალებები წიგნიდან, სადაც ეს ლექსიკური ერთეულებია მოცემული, ასევე პოსტერი.

აქტივობა 3 - იპოვე განსხვავება

გრძელდება ლექსიკაზე მუშაობა ნახატებზე აღმოჩენილი განსხვავებების დახმარებით - დავალებები 9-10.

მოსწავლეებმა უნდა იპოვონ განსხვავება და დაასახელონ. შესაძლებელია მასწავლებლის დახმარებით გავარჯიშდეს შემდეგი კონსტრუქციები: აქ არის ..../აქ არ არის .....

აქტივობა 4 - ისწავლე ფერები

ფერების ლექსიკის ათვისება - მოსწავლეები ნაცნობი ნივთის - ბუშტის დახმარებით ეცნობიან ფერებს და იმახსოვრებენ. სრულდება დავალება 7.

აქტივობა 5 - ისწავლე რიცხვები
სრულდება წიგნის დავალება 8. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით სწავლობენ რიცხვების ლექსიკურ ერთეულებს.

აქტივობა 6 - ვარჯიში ათვისებული ლექსიკის და ენობრივი კონსტრუქციის განსამტკიცებლად

სრულდება რვეულის სავარჯიშოები 11-16, რომლებიც მიმართულია თემატური ლექსიკის განმტკიცებასა და ფერებში ვარჯიშზე.

აქტივობა 7 - კომპლექსური დავალება
თავის ბოლოს სრულდება კომპლექსური დავალება. შენიშვნა: სახელმძღვანელოს ამ თავში ჯერ წიგნის დავალებებია მოაზრებული შესასრულებლად და შემდეგ - რვეულის სავარჯიშოები. თუმცა თუ მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია არ გაითვალისწინოს თანმიმდევრობა და პარალელურად, თავისი შეხედულებისამებრ ამუშაოს მოსწავლეები წიგნსა და რვეულში პარალელურად ისე, რომ არ დაირღვეს ნაცნობიდან უცნობისკენ სვლის პრინციპი.

ნაბიჯი 2. როგორ დავხატო და წარვადგინო ნახატი? რა დამეხმარება ამაში?

რესურსები: ფერადი ფანქრები / საღებავები / ფლომასტერები; სახატავი ფურცლები
რეკომენდაციები (ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლის მშობლიურ ენაზე)**:**

დავალების შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვმა ზუსტად გაიგო დავალების პირობა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შეასრულებინეთ.

შენიშვნა:
შესაძლებელია, ნახატი შესრულდეს ხატვის გაკვეთილზე და შემდეგ წარადგინონ ქართულის გაკვეთილზე

აქტივობები:

აქტივობა 1.

- ნასწავლი ლექსიკის მობილიზება

აქტივობა 2. ნახატის შექმნა და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რომელი სიტყვები გესმის? • რა უნდა დახატო? • რა ფერის უნდა იყოს ჩანთა? ბუშტი? ...

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ). ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- რის შესახებ არის შენი ნახატი?
- რა ფერები გამოიყენე ნახატში?

მე-2 თავი - ჩემი ოჯახი

(წინასაანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: ჩემი ოჯახი **საათების სავარაუდო რაოდენობა:** დამოკიდებული იქნება საკლასო ოთახში მოსწავლეთა საჭიროებებსა და მზაობაზე. **ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული მოსასმენი ფაილები		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** სიტყვების ლოტო	**საკითხი 2** საკუთარი ოჯახის ილუსტრაციის შექმნა და აღწერა
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - *რა არის, რა ჰქვია?* აღწერა / დახასიათება - *ოთახის, ოჯახის წევრების, საოჯახო ნივთების* ...	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - ვინ *არის, რა ჰქვია?* აღწერა / *ოჯახის წევრების,*
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები **ქვესაკითხები:** აღწერა; კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა, მსგავსების და განსხვავების ჰოვნა;* თემა - *ჩემი ოჯახი;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები **ქვესაკითხები:** აღწერა; კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის შექმნა და აღწერა, მსგავსების და განსხვავების ჰოვნა;* თემა - *ჩემი ოჯახი;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა - ოჯახთან დაკავშირებული საგნები; გრამატიკა - ზმნები: არის, ნაცვალსახელები: ეს / ის ენობრივი კონსტრუქციები რა არის/ვინ ეს/ის? - ის / ეს არის ...	**ქვესაკითხები:** ნასწავლი თემატური ლექსიკა; გრამატიკა - ეს / ის ნაცვალსახელები; ენობრივი კონსტრუქციები (ვინ არის ეს/ის? - ის არის / ეს არის ...
დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)		**ქვესაკითხები:** გაშიფვრა: ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;
	კომპლექსური დავალება 1 სიტყვების და ილუსტრაციების ლოტო	**კომპლექსური დავალება 2** დახატე და აღწერე შენი ოჯახი

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები **სამეტყველო ქმედება -** <u>ფუნქციური სამეტყველო აქტები:</u> ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - რა არის, რა ჰქვია? აღწერა / დახასიათება - ადამიანის, ნივთის ...

ლექსიკა და გრამატიკა - ლექსიკა: დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა, სათამაშო, რობოტი, მანქანა, ოთახი, ტელევიზორი, სურათი, ფანჯარა, მაგიდა, ვაშლი, მსხალი, ბანანი, ანანასი, ატამი, ბალი.

გრამატიკა: კუთვნილებითი ნაცვალსახელი - ჩემი

ენობრივი კონსტრუქციები: ეს რა არის? ეს ვინ არის? - ეს/ის არის

ტექსტი - მეტყველების ტიპი - აღწერა; სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - *ჩემი ოჯახი;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*

საკითხი: სიტყვების ლოტო

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება სიტყვების მოსასმენად, ილუსტრაციების ამოსაცნობად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. მოსმენა, სიტყვების ამოცნობა და ილუსტრაციების გაფერადება

გამოიყენეთ ნასწავლი ლექსიკა (მაგ., ოჯახის წევრები, ხილი, სათამაშოები და ა.შ.) და მოისმინეთ და გამორიცხეთ ის სიტყვები (ილუსტრაციები), რომელიც არ უნდა გააფერადოთ (ილუსტრაცია „ჩემი ოჯახის“ ლექსიკიდან) წარადგინეთ თქვენი ნამუშევარი და ისაუბრეთ მის შესახებ.

დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:

- კონკრეტული ინფორმაცია სიტყვების და ილუსტრაციების ლოტოს გარშემო - *რა საგნებია გაფერადებული?*დაასახელეთ რა არის: - ეს არის ... **(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა, ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმის უნარი **(ლექსიკა და გრამატიკა);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- შენი აზრით, რას ნიშნავს ოჯახი?
- სად ცხოვრობს ოჯახი?
- რა არის ოთახში?

დავალების მოთხოვნების გააზრება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო მოსმენის შემდეგ? რა უნდა გააკეთო ილუსტრაციების გაფერადების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება დავალების წარდგენისას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა: ამ თავში მოცემული ყველა დავალების შესრულება, რათა მოსწავლემ გააფერადოს შესაბამისი ილუსტრაცია, ან გამორიცხოს უკვე ნასწავლი ლექსიკიდან არასაჭირო ილუსტრაცია.

<u>გრამატიკა</u>:

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის?

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული

დამატებითი რესურსი: წიგნის პოსტერი

აქტივობები:

ა) <u>წინარე ცოდნის გააქტიურება</u> - ნასწავლი **ლექსიკა** და **ენობრივი კონსტრუქციები**):
1. სრულდება წიგნის 1-ელი, მე-2 და მე-3 დავალებები— მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, უსმენენ მასწავლებლის ინტერაქციას, უსმენ ჩანაწერს და იმეორებენ/იმახსოვრებენ ლექსიკურ ერთეულებს.

ბ) <u>ახალი ენობრივი საკითხების დამუშავება</u> (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები)

ლექსიკაზე მუშაობა:
1. გრძელდება ე-1ლ და მე-2 დავალებებზე მუშაობა, ახალ ლექსიკურ ერთეულებზე, ამავდროულად ბავშვები მარცვლავენ სიტყვებს და აკავშირებენ შეთავაზებულ რკალებთან.
2. სრულდება მოსწავლის რვეულის მე-4-5 დავალებები, მოსწავლეები აჩვენებენ შედეგს, რა ლექსიკა აითვისეს და ცნობენ თუ არა სიტყვის წერილობით ხატს
3. სრულდება წიგნის მე-6 და მე-7 დავალებები აკვირდებიან, ილუსტრაციებს, ასახელებენ, იმახსოვრებენ და მარცვლავენ.
4. სრულდება სავარჯიშოების რვეულის მე-8 და მე-9 სავარჯიშო, რითაც გადამოწმდება, როგორ აითვისეს მოსწავლეებმა დამატებით ახალი ლექსიკა.
5. სრულდება წიგნის მე-10, მე-11 დავალებები, რაც უკვე შეამზადებს მოსწავლეებს საბოლოდ შეძლონ ამდენი
6. სრულდება მე-12 სავარჯიშო, კომპლექსური დავალების შესრულება და პრეზენტაცია.

- **ეს არის** კონსტრუქციაზე ვარჯიში:
  1. მარტივი ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსწავლეებთან (მაგ., *რა არის ეს? ეს არის ბანანი*
  2. გააფერადე მოსასმენის მიხედვით ილუსტრაციები

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა არის ეს? • სად არის ლოტოზე ეს სიტყვა • რომელი სიტყვა არ მოგისმენია

ნაბიჯი 2. როგორ გავაფერადო და წარვადგინო ჩემი სიტყვების ლოტო? რა დამეხმარება ამაში?

რესურსები: ფერადი ფანქრები / საღებავები / ფლომასტერები; სამუშაო რვეული

რეკომენდაციები (ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლის მშობლიურ ენაზე)**:**

- დავალების შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვმა ზუსტად გაიგო დავალების პირობა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შეასრულებინეთ.
- დასაწყისში სამჯერ მოასმენინეთ ჩანაწერი, საჭირო შემთხვევაში კიდევ მოასმენინეთ.
- რა ფერის იქნება *ვაშლი?, მსხალი? ბანანი? ....*

შენიშვნა:

- შესაძლებელია, დავალება დაკოპირდეს ფურცლებზე და ისე შესრულდეს, რათა ბაშვების ნამუშევრების გამოფენა შეძლოთ საკლასო ოთახში.

აქტივობები: **აქტივობა 1.** • ნასწავლი ლექსიკის მობილიზება

აქტივობა 2. დავალების შესრულება და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა მოვისმინეთ? • რა არ მოგვისმენია? • როგორ გააფერადებ ილუსტრაციებს, რა ფერის ფანქრები დაგჭირდება?

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ). ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- რომელი ილუსტრაციები გააფერადე?
- რა არის ეს?
- ყველაფერი გააფერადე?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?

რეკომენდაცია მასწავლებელს: წიგნის მეორე თავი „ჩემი ოჯახი“ იხსნება ოჯახის ილუსტრაციით, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები სწავლობენ ოჯახის წევრების და სხვადასხვა საგნების დასახელებას. ამავე ილუსტრაციის მოსასმენ ფაილში გააქტიურებულია ზმნები „ზის“ და „თამაშობს“. ილუსტრაციაზე მკაფიოდაა ასახული ეს ორი მოქმედება („ბიჭი ზის“, „გოგო თამაშობს“), ამიტომ დასაშვებად მივიჩნიეთ, რომ ვიზუალური აღქმის და მოსმენის ერთობლიობით მოსწავლე ადვილად დაიმახსოვრებს შეთავაზებულ ზმნებს. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, რამდენად სწორად დაიმახსოვრეს ბავშვებმა ამ სიტყვების მნიშვნელობა, მათი ცოდნა შეამოწმეთ, რეალურ გარემოში (დაასახელეთ მოსწავლე, რომელიც ზის და იკითხეთ: – ის ზის? ის თამაშობს?), შესთავაზეთ სხვა ილუსტრაცია (თემატური პოსტერი) და დააკვირდით, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მიუთითონ სურათზე, ვინ თამაშობს ან ვინ ზის.
წიგნის მე-10 დავალების შესრულებისას (გვ. 24), როდესაც მოსწავლეებს სთხოვთ, დაასახელონ განსხვავებული შემადგენლობის ოჯახების ფოტოებზე ოჯახის წევრები, ასევე მიეცით საშუალება თქვან/მიუთითონ:
– ვინ ზის ამ ფოტოზე?
– ვინ არ ზის ამ ფოტოზე?
– დედა თამაშობს?
– დედა ზის?
ასეთ შემთხვევაში საუბარი არ გასცდება ოჯახის თემას, ამავე დროს გადამოწმდება, რამდენად სწორად დაიმახსოვრეს და იყენებენ მოსწავლეები „ზის“ და „თამაშობს“ ზმნების მნიშვნელობას...

კომპლექსური დავალება 2

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

სამეტყველო ქმედება - ფუნქციური სამეტყველო აქტები: ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - რა არის, რა ჰქვია? აღწერა / დახასიათება - ადამიანის, ნივთის ...

ლექსიკა და გრამატიკა - ლექსიკა: დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა, ოჯახი

გრამატიკა: პირის ნაცვალსახელი - მე

კუთვნილებითი ნაცვალსახელი - ჩემი

ენობრივი კონსტრუქციები: ეს რა არის? ეს ვინ არის? - ეს/ის არის

ტექსტი - მეტყველების ტიპი - აღწერა; სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - *ჩემი ოჯახი;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*

საკითხი: ოჯახის აღწერა

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება სიტყვების მოსასმენად, ილუსტრაციების ამოსაცნობად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 2. ოჯახის ილუსტრაციების აღწერა, ნაცნობი ლექსიკის და გრამატიკული კონსტრუქციების გააქტიურება, სხვადასხვაგვარი შემადგენლობის ოჯახების გაცნობა/აღწერის შემდეგ საკუთარი ოჯახის შემადგენლობის დახატვა/აღწერა

დახატეთ თქვენი ოჯახი და აღწერეთ. გამოიყენეთ ნასწავლი ლექსიკა (მაგ., ოჯახის წევრები, მე, ჩემი, ეს არის). წარადგინეთ თქვენი ნამუშევარი და ისაუბრეთ მის შესახებ.

დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:

- კონკრეტული ინფორმაცია - ვინ არიან შენი ოჯახის წევრები
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა **(ლექსიკა და გრამატიკა);**
- ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმის უნარი **(ლექსიკა და გრამატიკა);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- შენი აზრით, რას ნიშნავს ოჯახი?
- სად ცხოვრობს ოჯახი?
- ვინ არიან შენს ოჯახში?

დავალების მოთხოვნების გააზრება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო ილუსტრაციების აღწერის შემდეგ? რა უნდა გააკეთო შენი ოჯახის დახატვის შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება დავალების წარდგენისას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა: ამ თავში მოცემული ოჯახთან დაკავშირებული ყველა დავალების შესრულება, რათა მოსწავლემ გამოიყენოს საჭირო ლექსიკა ან გამორიცხოს უკვე ნასწავლი ლექსიკიდან ის სიტყვა, რომელიც არ დასჭირდება საკუთარი ოჯახის შემადგენლობის წარდგენისას

<u>გრამატიკა</u>:

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს მე ვარ; ეს არის...

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული

დამატებითი რესურსი: წიგნის პოსტერი

აქტივობები:

ა) <u>წინარე ცოდნის გააქტიურება</u> - ნასწავლი **ლექსიკა** და **ენობრივი კონსტრუქციები**):

1. სრულდება რვეულის ყველა დავალება — მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს, ეცნობიან სხვადასხვა შემადგენლობის ოჯახებს, უსმენენ მასწავლებლის ინტერაქციას, ასახელებენ სიტყვებს და აღწერენ დამოუკიდებლად რომელიმე ილუსტრაციას

ბ) <u>ახალი ენობრივი საკითხების დამუშავება</u> (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები)

ლექსიკაზე მუშაობა:

ათვისებული ლექსიკის კიდევ ერთხელ გადამოწმება

1. სრულდება სავარჯიშოების რვეულის ყველა სავარჯიშო, რითაც გადამოწმდება, როგორ აითვისეს მოსწავლეებმა საჭირო ლექსიკა.
2. კომპლექსური დავალების შესრულება და პრეზენტაცია.

მე ვარ; ეს არის კონსტრუქციაზე ვარჯიში:

3. მარტივი ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსწავლეებთან (მაგ., *რა არის ეს? ვინ არის ეს? ეს არის ჩემი ოჯახი, ეს არის დედა (ძმა, ბებია, მამა)*
4. დახატე ილუსტრაციების მიხედვით შენი ოჯახი

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა არის ეს? • ვინ არიან სურათზე? • ვინ არიან შენს ნახატზე?

ნაბიჯი 2. როგორ დავხატო და წარვადგინო ჩემი ნახატი? რა დამეხმარება ამაში?

რესურსები: ფერადი ფანქრები / საღებავები / ფლომასტერები; სამუშაო რვეული

რეკომენდაციები:

- დავალების შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვმა ზუსტად გაიგო დავალების პირობა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შეასრულებინეთ.
- დასაწყისში ჯერ შესთავაზეთ ილუსტრაციების აღწერა.
- შეადარებინეთ ილუსტრაციები - ეს ვინ არის? აქ რამდენი ბავშვია? აქ ბებია არის?

შენიშვნა:

- შესაძლოა, დავალება ისე შესრულდეს, ბაშვებმა ნამუშევრების გამოფენა შეძლონ საკლასო ოთახში.

აქტივობა 2. დავალების შესრულება და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა ვისწავლეთ? • რა უნდა დახატო? • როგორ აღწერ შენს ოჯახს?

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ). *შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.*

- რა დახატე?
- ვინ არის ეს?
- ვისი ნახატი მოგეწონა?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?

მე-3 თავი - დაბადების დღე

(წინასაანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: დაბადების დღე **საათების სავარაუდო რაოდენობა:** დამოკიდებული იქნება საკლასო ოთახში მოსწავლეთა საჭიროებებსა და მზაობაზე. **ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული მოსასმენი ფაილები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** საკუთარი ნახატის აღწერა
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - *რა არის, რა ჰქვია?* აღწერა / დახასიათება - *ბავშვის, ნივთის* ...
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები **ქვესაკითხები:** აღწერა; კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - *დაბადების დღე;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა - დაბადების დღესთან დაკავშირებული საგნები; მარტივი ფერები; გრამატიკა - ზმნები: არის, ნაცვალსახელები: ეს / ის ენობრივი კონსტრუქციები (რა არის ეს/ის? - ის / ეს არის ... როგორია? - ... არის დიდი/პატარა; რა აქვს, რა ჰქვია? ...
დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)	
	კომპლექსური დავალება 1 ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

სამეტყველო ქმედება - <u>ფუნქციური სამეტყველო აქტები:</u> ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - რა არის, რა ჰქვია? აღწერა / დახასიათება - ადამიანის, ნივთის ...

ლექსიკა და გრამატიკა - <u>ლექსიკა:</u> დედა, მამა, გოგო, ბიჭი, ჯამბაზი, ბუშტი, ბურთი, ხალიჩა, ტორტი, ჭიქა, თეფში, ფანჯარა, კოვზი, ჩანგალი

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები - დიდი, პატარა;

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? ეს ვინ არის? რა ჰქვია მას? - ეს/ის არის ბიჭი // ეს/ის გოგოა... როგორია ბუშტი? - ... არის წითელი

ტექსტი - მეტყველების ტიპი - აღწერა; სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - *დაბადების დღე;* ადრესატი - *თანატოლი, მასწავლებელი*

საკითხი: ნახატის აღწერა

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება ნახატის შესაქმნელად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

გამოიყენეთ ნასწავლი ლექსიკა (მაგ., ოჯახის წევრები, სუფრის საგნები... და ა.შ.) და შექმენით ნახატი დაბადების დღის შესახებ. წარადგინეთ თქვენი ნამუშევარი და ისაუბრეთ მის შესახებ.

<u>დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:</u>

- კონკრეტული ინფორმაცია ნახატის გარშემო - *რა არის ნახატზე გამოსახული?* აღწერეთ, *როგორია* და *რა ფერისაა?* დაასახელეთ, *რა დევს სუფრაზე* და *რამდენი?* **(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა, ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოთქმის უნარი **(ლექსიკა და გრამატიკა);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- შენი აზრით, რას ნიშნავს დაბადების დღე?
- რა ხდება ხოლმე დაბადების დღეზე?
- ვინ მოდიან ხოლმე დაბადების დღეზე?

დავალების მოთხოვნების გააზრება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო ნახატის დასრულების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?
- რას უნდა მიაქციო ყურადღება ნახატის წარდგენისას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა: დედა, მამა, გოგო, ბიჭი, ჯამბაზი, ბუშტი, ბურთი, ხალიჩა, ტორტი, ჭიქა, თეფში, ფანჯარა, კოვზი, ჩანგალი, საჩუქარი...

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები - დიდი, პატარა;

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? ეს ვინ არის? რა ჰქვია მას? - ეს/ის არის ბიჭი // ეს/ის გოგოა...
როგორია ბუშტი? - ... არის წითელი

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული

დამატებითი რესურსი: პოსტერი

აქტივობები:

ა) <u>წინარე ცოდნის გააქტიურება</u> - ნასწავლი **ლექსიკა** და **ენობრივი კონსტრუქციები**):
1. სრულდება წიგნის 1-ელი და მე-2 დავალებები — მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, უსმენენ მასწავლებლის ინტერაქციას და იმეორებენ/იხსენებენ ლექსიკურ ერთეულებს.

ბ) <u>ახალი ენობრივი საკითხების დამუშავება</u> (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები)

- **ლექსიკაზე** მუშაობა:

1. გრძელდება 1-ელ და მე-2 დავალებებზე მუშაობა, ახალ ლექსიკურ ერთეულებზე, ამავდროულად ბავშვები მარცვლავენ სიტყვებს და აკავშირებენ შეთავაზებულ რკალებთან.
2. სრულდება მოსწავლის წიგნის მე-3 დავალება, მოსწავლეები მარცვლავენ სიტყვებს და აკავშირებენ რკალებიან ნახატებთან.
3. სრულდება მე-4, მე-5 და მე-6 სავარჯიშოები სავარჯიშოების რვეულში. აკვირდებიან, ილუსტრაციებს, აფერადებენ, ასახელებენ, მარცვლავენ.
4. სრულდება წიგნის მე-7 დავალება და სავარჯიშოების რვეულის მე-8 სავარჯიშო, — აკვირდებიან, ამოიცნობენ, დაასრულებენ დახატვას, გააფერადებენ და დაასახელებენ ილუსტრაციებს.
5. სრულდება წიგნის მე-9 დავალება, რაც განამტკიცებს მოსწავლეებში ახალი სიტყვების დამარცვლის უნარს.
6. სრულდება წიგნის მე-10, მე-12 დავალებები და რვეულის მე-11 სავარჯიშო, რაც ითვალისწინებს ათვისებული ლექსიკური ერთეულების განმტკიცებას და კომპლექსური დავალებისთვის შემზადებას.
7. სრულდება რვეულის მე-13 სავარჯიშო, რაც ითვალისწინებს ლექსიკური ერთეულების ცოდნის განმტკიცებას და დაწერილი მთლიანი სიტყვების ამოცნობის უნარს. ეს კომპეტენცია, სასურველი იქნება გამოყენებულ იქნას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას.
8. სრულდება მე-14 სავარჯიშო, კომპლექსური დავალების შესრულება და პრეზენტაცია.

- **ეს არის** კონსტრუქციაზე ვარჯიში:
  5. მარტივი ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) მოსწავლეებთან (მაგ., *რა არის ეს? ეს არის თეფში...*)
  6. დახატე მითითების მიხედვით და დაასახელე, რა დევს სუფრაზე... გაიმეორე ფრაზა სრულად (მაგ., *ეს არის თეფში. ეს არის ჭიქა...* და ა.შ.)

გ) ბგერებისა და ბგერათკომპლექსების სწორად წარმოთქმა (თ, ჭ, წყ... **ჰ/ფ**):
1. სამოდელო სიტყვის მითითება (მაგ., ტაშით) სიტყვათა ჩამონათვალში
2. სიტყვების დამარცვლა, მარცვალთა იდენტიფიცირება სიტყვებში.

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა არის ეს? • სად არის სუფრაზე ჭიქა? ტორტი? თეფში? • რამდენი ჭიქაა სუფრაზე?

ნაბიჯი 2. როგორ დავხატო და წარვადგინო ჩემი ნახატი? რა დამეხმარება ამაში?

რესურსები: ფერადი ფანქრები / საღებავები / ფლომასტერები; სახატავი ფურცლები

რეკომენდაციები (ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლის მშობლიურ ენაზე)**:**

- დავალების შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვმა ზუსტად გაიგო დავალების პირობა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შეასრულებინეთ.
- მოიფიქრე, როგორი იქნება სუფრა (მაგ., *დაბადების დღის*), რას დახატავე სიფრაზე...
- რა ფერის იქნება *მაგიდა, თეფში, ჭიქა, ტორტი...*

შენიშვნა:

- შესაძლებელია, ნახატი შესრულდეს ხატვის გაკვეთილზე და შემდეგ მოხდეს მისი წარდგენა ქართულის გაკვეთილზე.

აქტივობები:

აქტივობა 1.

- ნასწავლი ლექსიკის მობილიზება
- სუფრის თემაზე შექმნილ სხვადასხვა ნახატზე დაკვირვება და მათი გამოყენებით ენობრივი ცოდნის გააქტიურება.

აქტივობა 2. ნახატის შექმნა და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რას დახატავ სუფრაზე? • რა ფერის იქნება შენ მიერ დახატული საგნები? • როგორ აღწერ შენს ნახატს? რაზე ისაუბრებ? ...

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ). *შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.*

- რის შესახებ არის შენი ნახატი?
- რომელი სიტყვები შენი სუფრის აღსაწერად?
- რა ფერები გამოიყენე ნახატში?
- რისი თქმა დაგავიწყდა?
- შენ ყველაზე მეტად შენი კლასელების რომელი ნახატი მოგეწონა? რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?

მე-4 თავი - მაუგლი და ტყის ბინადრები

(წინასაანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: მაუგლი და ტყის ბინადრები **საათების სავარაუდო რაოდენობა:** დამოკიდებული იქნება საკლასო ოთახში მოსწავლეთა საჭიროებებსა და მზაობაზე. **ძირითადი რესურსი:** მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული მოსასმენი ფაილები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** ილუსტრაციის შექმნა და აღწერა
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - *რა არის, რა ჰქვია?* აღწერა / დახასიათება - *გარეული ცხოველები*
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; სიტუაციური მახასიათებლები **ქვესაკითხები:** აღწერა; კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - გარეული ცხოველები, ადრესატი - *მასწავლებელი, თანაკლასელები*
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა - ცხოველებთან და მათ ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკა გრამატიკა - ზმნები: არის, ნაცვალსახელები: ეს / ის, არის .....ში/ზე ენობრივი კონსტრუქციები (რა არის ეს/ის? - ის / ეს არის ..., არის ...ში/ზე
დეკოდირება და კოდირება	სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა
	კომპლექსური დავალება 1 ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

სამეტყველო ქმედება - <u>ფუნქციური სამეტყველო აქტები:</u> ინფორმაციის გაცვლა / სახელდება - რა არის, რა ჰქვია? გარეული ცხოველების აღწერა / დახასიათება

ლექსიკა და გრამატიკა - <u>ლექსიკა:</u> დათვის, სპილო, ვეფხვი, მგელი, მაიმუნი, ავაზა, ტყე, მდინარე, ხე, ბალახი, ბიჭი.

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები- დიდი, პატარა, სწრაფი, საშიში, მხიარული; თანდებულები: ზე/ში

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? ეს ვინ არის? რა ჰქვია მას? - ეს/ის არის დათვი
როგორია სპილო? - ... სპილო დიდია , მაიმუნი არის ხეზე, დათვი არის ტყეში

ტექსტი - მეტყველების ტიპი - აღწერა; სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი - *ნახატის აღწერა,* თემა - გარეული ცხოველები, ადრესატი - *მასწავლებელი, თანაკლასელები*

საკითხი: ნახატის აღწერა

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება ნახატის შესაქმნელად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების სწორად წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. ილუსტრაციის შექმნა და აღწერა

<u>დავალების შესრულებისას წარმოაჩინე:</u>

- კონკრეტული ინფორმაცია ნახატის გარშემო - *რა არის ნახატზე გამოსახული*? აღწერეთ *ნახატი.* დაასახელეთ, *რა ცხოველია და როგორია ის? სად ცხოვრობს?* **(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა, ბგერების, ბგერათკომპლექსებისა და სიტყვების წარმოთქმის უნარი **(ლექსიკა და გრამატიკა);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გიყვარს ცხოველები? რომელი?
- სად გინახავს ცხოველი?
- გყავს შინაური ცხოველი? რომელი ცხოველი?
- როგორია ის?

დავალების მოთხოვნების გააზრება. (საჭიროების შემთხვევაში ქართული ენის მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობლიური ენის მასწავლებელს.)

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო ნახატის დასრულების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?

რას უნდა მიაქციო ყურადღება ნახატის წარდგენისას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა: სხვადასხვა ცხოველის სახელები, ტყე, ხე, მინდორი, ცხოვრობს, ჭამს;

<u>გრამატიკა</u>: ზედსართავი სახელები - დიდი, პატარა, ლამაზი, სწრაფი, საშიში; თანდებულები: ზე/ში

<u>ენობრივი კონსტრუქციები:</u> ეს რა არის? ეს რა არის? რა ჰქვია მას? - ეს/ის არის ძაღლი // ეს/ის დათვია...
როგორია დათვი? - ... არის დიდი; მაიმუნი არის ხეზე, დათვი არის ტყეში

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული

დამატებითი რესურსი: პოსტერი

აქტივობები:

ა) წინარე ცოდნის გააქტიურება:

1. სრულდება წიგნის 1-ელი— მოსწავლეები უყურებენ ფრაგმენტს მულტფილმიდან და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.
2. სრულდება წიგნის მე-2 დავალება: მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, უსმენენ მასწავლებლის ინტერაქციას და იმეორებენ/იხსენებენ ლექსიკურ ერთეულებს.
3. სრულდება დავალება 3. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს; სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს მულტფილმის პერსონაჟ ჩვილ ბავშვსა და ილუსტრაციაზე არსებულ ბიჭუნაზე — მაუგლიზე, რათა მოსწავლეები მიხვდნენ, რომ მაუგლი მულტფილმში ნანახი ის ჩვილი ბავშვია. ასევე, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ადგილმდებარეობის გამომხატველ ფორმებზე: ტყეში,ხეზე და მოსწავლეებს დაუსვას ისეთი შეკითხვები, რომელთა პასუხის დროს ეს ფორმები გააქტიურდება.

ბ) <u>ახალი ენობრივი საკითხების დამუშავება</u> (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები)

მოსწავლეები ასრულებენ მე-4 და მე-5 დავალებებს წიგნში — მასწავლებელი ასახელებს ცხოველებს და მოსწავლეები იმეორებენ (დავ.4), შემდეგ კი იმავე ცხოველების სახელებს წარმოთქვამენ დამარცვლით (დავ.5).

სრულდება წიგნის მე-6 დავალება — აკვირდებიან, ამოიცნობენ განსხვავებას ილუსტრაციებს შორის, დაასახელებენ საგნებს.

სრულდება რვეულის სავარჯიშოები (N 7,8,9,10, 11), რომლებიც ახალი ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებას შეუწყობს ხელს. N10 სავარჯიშოს შესრულებისას მასწავლებელი მიმიკისა და ჟესტიკულაციის დახმარებით ახვედრებს მოსწავლეებს **მხიარულის, საშიშის, დიდის და სწრაფის** მნიშვნელობებს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რა ცხოველია არის ეს? • *როგორია ის?* • სად არის ის? • ცხოველების გარდა, ვის ხედავ ილუსტრაციაზე?

ნაბიჯი 2. როგორ დავხატო და წარვადგინო ნახატი? რა დამეხმარება ამაში?

მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს კომპლექსური დავალების პირობას:

კომპლექსური დავალება — N12

ილუსტრაციიდან ამოარჩიე და დახატე რომელიმე ცხოველი

- ✓ გაითვალისწინე მისი გარეგნობა;

- ✓ შეეცადე გამოხატო მისი თვისებები;
- ✓ გაიხსენე, სად ცხოვრობს ის და ისე შეურჩიე ფონი;

წარუდგინე ნახატი თანაკლასელებს და ისაუბრე:

- ✓ რა ცხოველი დახატე?
- ✓ როგორია ის?
- ✓ სად არის ის? (ტყეში/ ხეზე)
- ✓ რატომ აირჩიე ეს ცხოველი?

რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ ისევ დახატავ ამ ან სხვა ცხოველს?

რესურსები: ფერადი ფანქრები / საღებავები / ფლომასტერები; სახატავი ფურცლები

რეკომენდაციები (ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლის მშობლიურ ენაზე)**:**

- მოიფიქრე, როგორი იქნება ცხოველი, რომელსაც დახატავ;
- შეეცადო გამოხატო მისი თვისება, მაგ. სისწრაფე ან მხიარული თუ აგრესიული ხასიათი;
- მოიფიქრე საგნები, რომლებსაც დახატავ მის გვერდით;
- შეურჩიე შესაბამისი ფერი საგნებს, *ცხოველი იქნება ეს, ხე, ბალახი, მზე თუ ცა.*

დავალების შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვმა ზუსტად გაიგო დავალების პირობა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შეასრულებინეთ.

შენიშვნა:
შესაძლებელია, ნახატი შესრულდეს ხატვის გაკვეთილზე და შემდეგ მოხდეს მისი წარდგენა ქართულის გაკვეთილზე

აქტივობები:

აქტივობა 1.

- ნასწავლი ლექსიკის მობილიზება
- ცხოველების თემაზე შექმნილ სხვადასხვა ნახატზე დაკვირვება და მათი გამოყენებით ენობრივი ცოდნის გააქტიურება.

აქტივობა 2. ნახატის შექმნა და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რას დახატავ? • რა ფერის და ფორმის იქნება შენ მიერ დახატული საგნები? • როგორ აღწერ შენს ნახატს? რაზე ისაუბრებ? ...

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ).
შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.

- რის შესახებ არის შენი ნახატი?
- რომელი საგნები დახატე ცხოველთან ერთად?
- რა ფერები გამოიყენე ნახატში?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა უნდა გააკეთო მომავალში, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?

მე-5 თავი - ა, ი, თ, ს, მ, დ, ე, რ

სასწავლო თემა - აი ია

(საანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: აი ია **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი:** ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის - მოსწავლის წიგნი და რვეული, 1	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** წარწერებიანი პოტერის შექმნა და აღწერა
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** საგნების აღწერა (გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა..)
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი; **ქვესაკითხები:** აღწერა; მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები (თემა ,,აი ია“)
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა - ია, თათი, საათი, მამა, დედა, ერთი, ათი, სამი...; გრამატიკა - **ზმნა:** არის; **ნაცვალსახელი:** ეს ვინ და რა, ვინ არის, რა არის, რამდენია? ენობრივი კონსტრუქციები: აი ია, აი მამა, აი დედა...
დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)	**გაშიფვრა:** ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;
	კომპლექსური დავალება 1 წარწერებიანი პოტერის შექმნა და აღწერა

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები **სამეტყველო ქმედება** **ქვეცნება: ფუნქციური სამეტყველო აქტები**

საკითხი: ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად

ქვესაკითხები: საგნების აღწერა (გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა..)

ტექსტი:

ქვეცნება: მეტყველების ტიპი;

ქვესაკითხები: აღწერა; მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები (თემა „აი ია“)

ლექსიკა და გრამატიკა

ლექსიკა - ია, თათი, საათი, მამა, დედა, ერთი, ათი, სამი ....;

გრამატიკა - **ზმნა:** არის; **ნაცვალსახელი:** ეს.

ვინ და რა, ვინ არის, რა არის, რამდენია?

ენობრივი კონსტრუქციები: აი ია, აი მამა, აი დედა...

დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)

გაშიფვრა: ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;

საკითხი: პოსტერის შექმნა

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება წარწერებიანი ნახატის შესაქმნელად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო შესწავლილი ასოების/სიტყვების სწორად დასაწერად და წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. წარწერებიანი პოსტერის შექმნა და აღწერა

შექმენი პოსტერი. ამისათვის:

- აიღე ფურცელი, ამოჭერი რვეულიდან ნახატები, დააკარი წებოთი ფურცელზე, გააფერადე.
- შემდეგ ქვეშ დააწებე ბადიანი ფურცელი და დააწერე, რა არის. შეგიძლია დაწერო ფერადი ფანქრით.

- ბოლოს წარადგინე კლასში და აღწერე. თქვი, რომელი ასოები გამოიყენე პოსტერის დასამზადებლად.

<u>დავალების შესრულებისას წარმოაჩინე:</u>

- კონკრეტული ინფორმაცია ილუსტრაციის შესახებ - *დაასახელე, რისი ილუსტრაციები დააწებე, როგორია ეს ნივთი და რა ფერია* **(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა: ეს არის...(**ლექსიკა და გრამატიკა)**
- სიტყვებისა და წინადადებების სწორად წერისა და კითხვის უნარი **(დეკოდირება და კოდირება);**

შენიშვნა: თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ სიტყვების გახსენება, მასწავლებელი მიუთითებს მათ გარკვეულ სიტყვებს.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. საჭიროებისამებრ შესაძლოა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზეც.

- გინახავს წარწერებიანი პოსტერი?
- შენი აზრით, როგორ უნდა გააკეთო ის?

დავალების მოთხოვნების გააზრება. საჭიროებისამებრ შესაძლოა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზეც.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება?
- რა უნდა გააკეთო დავალების დასრულების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

ლექსიკა - ია, საათი, ერთი, სამი, ათი, თათი...

გრამატიკა - ზმნები: არის; ეს არის.

ენობრივი კონსტრუქციები (რა არის ეს/ის? - ის / ეს არის...თათი

რესურსები და აქტივობები:

ძირითადი რესურსი: ქართული ენა
არაქართულენოვანი სკოლებისთვის - მოსწავლის წიგნი
და რვეული, 1

აქტივობები:
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა მიმდინარეობს მთელი თავისა და სამიზნე რვავე ასო-ბგერის წარდგენა-ათვისების პროცესში. სამიზნე ასო-ბგერის შესწავლა და მასთან დაკავშირებული საკითხები (ტექსტის წაკითხვა, ტექსტის გაგებისა და ვარჯიშის, ასევე ასო-ბგერის საჭირო კონტექსტში გამოყენების დავალებები არსებითად ერთი და იმავე პრინციპით მიმდინარეობს თავში წარმოდგენილი თითოეული ასო-ბგერისთვის. ამიტომ, აქ გთავაზობთ ნიმუშს, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია წარმოდგენა შეიქმნას, თუ როგორ უნდა დაამუშაოს თითოეული მათგანი.

აქტივობა 1. სამიზნე ასო-ბგერასთან დაკავშირებული ლექსიკის მოსმენა, გაცნობა და ათვისება (მოსასმენი დავალება წიგნში; სიტყვის ბარათებით მუშაობის დავალება)

აქტივობა 2. ილუსტრაციებზე გამოსახული საგნების ამოცნობა და მათ შესაბამის სიტყვებზე მუშაობა

- სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობისა და რაოდენობის დადგენა
- სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორება;
- სიტყვაში მარცვლების გადანაცვლება:;
- დანაწევრებულად ნათქვამი ბგერების სიტყვად გამთლიანება;
- ბარათების დალაგება მათში თანაბარი რაოდენობის მარცვლების მიხედვით;
- დაწერილი სიტყვის დაკავშირება ილუსტრაციებთან:

გეზისმიმცემი შეკითხვები:	**გეზისმიმცემი შეკითხვები 1-ელი-მე-2 აქტივობებისთვის:** ➢ რომელ საგნებს ხედავთ ილუსტრაციებზე? ➢ ამ ილუსტრაციებიდან, რომელი იწყება/ ს ასოზე? რომელ სიტყვაშია ორი ,,ა“? ➢ თუ სიტყვის ბოლო მარცვალს გავიმეორებთ, რას მივიღებთ? ➢ როგორ დავალაგოთ ბარათები ზრდადობით, მათში მარცვლების რაოდენობის მიხედვით? ➢ რომელი დაწერილი სიტყვა შეესაბამება ბარათებზე გამოსახულ საგნებს? როგორ მიხვდი?

აქტივობა 3. დეკოდირებადი ტექსტის წარდგენა:

ია
ი ა
აი ია

ს
სა ა თი
აი საათი.
ათი საათია.

ნიმუშის სახით აქ წარმოდგენილია ცენტრალური ტექსტი ასო-ბგერა ა-ზე, ი-ზე და ს-ზე. სასურველია, მასწავლებელმა პირველად თავად წაუკითხოს ტექსტი მოსწავლეებს სამოდელოდ.

აქტივობა 4. დეკოდირებადი ტექსტის კითხვა სხვადასხვა სტრატეგიით (გუნდური კითხვა; კითხვა ექოდ, ქოროში; ხმამაღალი კითხვა გაგრძელებით) -

გეზისმიმცემი შეკითხვები მე-3-მე-4 აქტივობებისთვის:

- როგორ წავიკითხოთ წყვილში? ექოდ? გუნდურად?
- როგორ ავაწყოთ წინადადებები და სიტყვები მოძრავი ანბანის საშუალებით?
- როგორ ვიპოვო სამიზნე ასო?
- რომელია წასაკითხი ტექსტის მეორე სიტყვა?
- რამდენი ასეთი სიტყვა იპოვე?

აქტივობა 5. სამიზნე ასოს ნაწილებისა და სწორი მოხაზულობის ამოცნობა - ასოს აღწერა და მასწავლებლის მიერ იმის ჩვენება, თუ როგორ იწერება ეს ასო. მიმართულებები ასევე მოხაზულობა ნაჩვენებია წიგნსა და რვეულში.

რესურსი 4 - წიგნისა და რვეულის შესაბამისი გვერდები ბადიანი ფრაგმენტებით, სადაც ისრის მიმართულებით ნაჩვენებია კონკრეტული ასოს მოხაზულობა.

აქტივობა 6. ვარჯიში ახალი ასოს, მისი შემცველი სიტყვებისა და წინადადებების გამოწერაზე ბადიან რვეულში

რესურსი 4 - რვეულის სავარჯიშოები ასო-ბგერის გამოსაწერად, , ნიმუშები, ბადიანი რვეული

გეზისმიმცემი შეკითხვები მე-5 და მე-6 აქტივობებისთვის:

- როგორ იწერება ეს ასო ბადიან სტრიქონში?
- როგორ გამოვწეროთ სამიზნე ასო (მაგალითად, ასო მ)?
- სად დავწერო სიტყვა? წინადადება?
- როგორ დავაშორო ასოები და წინადადებები ერთმანეთს?

აქტივობა 7: ვარჯიში სამიზნე-ასო ბგერაზე ახალ სიტყვებსა და წინადადებებში

რესურსი: რვეულის სავარჯიშოები

ამ ნაწილში მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს - სამიზნე ასო-ბგერის პოვნა, გადაბმული ასოთა ჯაჭვიდან კონკრეტული სიტყვების (ამ შემთხვევაში სამიზნე ასო-ბგერის შემცველი სიტყვების) გამოყოფა, სამიზნე ასო-ბგერის ჩაწერა საჭირო ადგილას სიტყვებში და წინადადებებში, ახალი სიტყვების შედგენა ნაცნობი (მათ შორის სამიზნე) ასო-ბგერებით.

ნაბიჯი 2. როგორ შევქმნა და წარვადგინო წარწერებიანი პოსტერი? რა დამეხმარება ამაში?
რესურსები: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, წებო, კალამი, ბადიანი ფურცელი, ფლიპჩარტის ქაღალდი/თაბახის ფურცელი
აქტივობები:
აქტივობა 1.

- ნასწავლი ლექსიკის მობილიზება
- სხვა პოსტერებზე დაკვირვება
- რვეულში მოცემული კონტურების ამოჭრა, დაწებება, გაფერადება და წარწერების გაკეთება
- გრამატიკული კონსტრუქციების გააქტიურება (დავალების წარსადგენად)

აქტივობა 2. წარწერებიანი პოსტერის შექმნა და წარდგენა

გეზისმიმცემი შეკითხვები:	• რას გააკეთებ ჯერ - ნახატებს თუ წარწერებს? • გააფერადებ? • როგორ აღწერ შენს ნამუშევარს?

კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ). ***შეკითხვებიც და პასუხებიც მოსწავლეების მხრიდან მიმდინარეობს, საჭიროებისამებრ, მშობლიურ ენაზე.***

- რა ფიგურა დააწებე?
- როგორი წარწერები გააკეთე ნახატებისთვის?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა და რატომ?
- რა უნდა გააკეთო, რომ უკეთესად შეასრულო დავალება?

მე-6 თავი - უ, ო, ზ, ხ, ვ, გ

სასწავლო თემა - ვინ და რა

(საანბანო პერიოდი)

თემის სახელწოდება: ვინ და რა **საათების სავარაუდო რაოდენობა** **ძირითადი რესურსი:** ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – მოსწავლის წიგნი და რვეული, 1		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1** ტექსტის შექმნა ილუსტრაციის მიხედვით	**საკითხი 2** ილუსტრაციის შექმნა ტექსტის მიხედვით
სამეტყველო ქმედება	**ქვეცნება:** ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად **ქვესაკითხები:** საგნები ჩვენ ირგვლივ, სახელდება – ვინ/*რა არის?*	**ქვეცნება:** ზეპირი ინტერაქცია; **ქვესაკითხები:** საგნები ჩვენ ირგვლივ, სახელდება – ვინ/რა არის?
ტექსტი	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი (წერითი); **ქვესაკითხები:** აღწერა; მარტივი აღწერითი ტექსტი (თემა „ვინ და რა“)	**ქვეცნება:** მეტყველების ტიპი (ზეპირი); **ქვესაკითხები:** აღწერა, მარტივი აღწერითი ტექსტი (თემა „ვინ და რა“)
ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)	**ქვესაკითხები:** ლექსიკა – ხე, ბარი, ვარდი, ბურთი, მაგიდა, ბებია, ბაბუა..; გრამატიკა – ზმნები: არის; ნაცვალსახელი – ეს; ენობრივი კონსტრუქციები (რა/ვინ არის ეს? – ეს არის...)	**ქვესაკითხები:** **ლექსიკა:** გოგო, ოთახი, მაგიდა, საათი სურათი, ვარდები გრამატიკა – ზმნები: არის; ნაცვალსახელი – ეს; ენობრივი კონსტრუქციები (რა/ვინ არის ეს? – ეს არის...)
დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)	**გაშიფვრა:** ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;	**გაშიფვრა:** ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;
	კომპლექსური დავალება 1 ტექსტის შექმნა და წარდგენა	**კომპლექსური დავალება 2** ილუსტრაციის შექმნა და წარდგენა

შუალედური სასწავლო მიზანი 1

კომპლექსური დავალება 1

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები

სამეტყველო ქმედება

ქვეცნება:ფუნქციური სამეტყველო აქტები

საკითხი: ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად

ქვესაკითხები: საგნები ჩვენ ირგვლივ, სახელდება – ვინ/*რა არის?*

ტექსტი:

ქვეცნება: მეტყველების ტიპი;

ქვესაკითხები: აღწერა; მარტივი აღწერითი ტექსტები

ლექსიკა და გრამატიკა

ლექსიკა – ხე, ბარი, გოგო, ბურთი, ბაბუა, გია, მარი, საბა, მერი...

გრამატიკა – ზმნები: არის; ნაცვალსახელი – ეს;

ენობრივი კონსტრუქციები (რა/ვინ არის ეს? – ეს არის...)

დეკოდირება და კოდირება (სიტყვის, წინადადების წაკითხვა და დაწერა)

გაშიფვრა: ანბანი, ხმოვანი, თანხმოვანი; ბგერა, ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა;

საკითხი: ილუსტრაციაზე დაყრდნობით მარტივი ტექსტის შექმნა – სკოლის ეზოში

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით ავითვისო საჭირო ენობრივი მასალა?
- რა სტრატეგიები დამეხმარება ტექსტის შესაქმნელად და წარსადგენად?
- რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო შესწავლილი ასოების/სიტყვების სწორად დასაწერად და წარმოსათქმელად?

კომპლექსური დავალება 1. ტექსტის შექმნა და აღწერა

შექმენით ტექსტი თემაზე ,,სკოლის ეზოში"; ილუსტრაციის დახმარებით შეადგინეთ წინადადებები (მოკლე ტექსტი) და წარადგინეთ თქვენი ნამუშევარი კლასის წინაშე.

<u>დავალების შესრულებისას წარმოაჩინეთ:</u>

- კონკრეტული ინფორმაცია ტექსტის შესახებ - *დაასახელე, ვის/რის შესახებ არის ტექსტი?***(სამეტყველო ქმედება, ტექსტი);**
- ნასწავლი ლექსიკისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა **(ლექსიკა და გრამატიკა);**
- წინადადების სწორად წერისა და კითხვის უნარი **(დეკოდირება და კოდირება);**

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

წინარე ცოდნის გააქტიურება. საჭიროებისამებრ შესაძლოა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზეც.

- შენი აზრით, რას ნიშნავს აღწერითი ტექსტი?
- წაგიკითხავს ასეთი ტექსტი? რომელ ენაზე წაგიკითხავს?

დავალების მოთხოვნების გააზრება. საჭიროებისამებრ შესაძლოა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზეც.

- გადმოეცი შენი სიტყვებით, რას მოითხოვს შენგან დავალება? ვის ან რის შესახებ უნდა დაწერო ტექსტი?
- წინადადება რომ დაწერო, კიდევ რომელი სიტყვები დაგჭირდება?
- რა უნდა გააკეთო ტექსტის დასრულების შემდეგ? რაზე უნდა ისაუბრო?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა დამჭირდება დავალების შესასრულებლად?

საჭირო ენობრივი საკითხები:

